

**თიბისი ბანკის თამაშის „მოიგე \$20.000“ გამარჯვებული
გამოვლინდა**

ბანკის ფიზიკური პირების ანაბრების პორტფელმა 1
მილიარდ ლარს გადააჭარბა

11 ნოემბერი, 2011 - დღეს 12:00 საათზე, თიბისი ბანკის სათავო ოფისში, გამოცხადდება იმ მენაბრის ვინაობა, ვინც ბანკის ანაბრების თამაშის გამარჯვებული გახდა და \$20 000 მოიგო.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე მედიის წარმომადგენლებს წარუდგენს აქციის გამარჯვებულს და ასევე, გამოაცხადება ახალი აქციის პირობებს.

ღონისძიებაზე, თიბისი ბანკის ანაბრების თამაშის მთავარი გმირი, ედმონდ აბაშიძე გამარჯვებულს საზეიმო ვითარებაში გადაურიცხავს მოგებულ თანხას პირად ანგარიშზე.

ანაბრების თამაში „მოიგე \$20 000“ 15 სექტემბერს დაიწყო და თითქმის ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. თამაშში მონაწილეობდნენ ის მენაბრეები, ვინც აქციის განმავლობაში თიბისი ბანკში გახსნეს ვადიანი ან ვადიანი+ ტიპის ანაბრები.

თამაში ვიქტორინის ტიპის იყო. მონაწილეებს სხვადასხვა თემატურ შეკითხვებზე პასუხების გაცემა ინტერნეტში, სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე უწევდათ. გამარჯვებული გახდა ის, ვინც ედმონდ აბაშიძის კითხვებზე სწორი პასუხების გაცემაზე ყველაზე ნაკლები დრო დახარჯა.

აქციის ფარგლებში, თიბისი ბანკის ფიზიკური პირების ანაბრების პორტფელმა ქართული ბაზრისთვის უპრეცედენტო ზღვარს - 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა! შესაბამისად, ბანკმა კიდევ უფრო გაიმყარა ლიდერი პოზიციები ანაბრების ბაზარზე.

ანაბრების პორტფელის ამგვარი დინამიური ზრდა ცალსახად მიუთითებს მენაბრეთა ნდობასა და ერთგულებაზე თიბისი ბანკის მიმართ.

ამის გათვალისწინებით, ბანკმა გადაწყვიტა, **31 დეკემბრამდე გააგრძელოს აქცია +1%** და ამ პერიოდში გახსნილ ვადიან და ვადიან+ ანაბრებზე დაარიცხოს 1 პროცენტით მეტი წლიური სარგებელი.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3